ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1306021

ნომერი: AR1218417

თარიღი : 08.05.2014

გაცემის თარიღი : 04.06.2014

გაცნობის თარიღი : 19.09.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლესელიძე , N26-28-30/2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლია ხუციშვილი პ/ნ 01011016474
- აფხაზის ქ. 28

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 41–ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების მოთხოვნათა დაცვით და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შორის 2014 წლის 8 აპრილს გაფორმებული N01 ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, ქ. თბილისში, ლესილიძის ქ. N26–28–30/2–ში, არსებული შენობის რეკონსტრუქციის (შემინვა) საკითხი გადაგზავნილ იქნა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოში და განხილულ იქნა კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს "კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების სექციის" მიერ, რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც საკითხი განმეორებით უნდა იქნეს წარმოდგენილი: "უმჯობესია დამუშავდეს ერთიანი ფასადი, გვერდით მდებარე ობიექტის – ,,მაჭახელა''–ს იდენტური ვიტრაჟით" (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის

დაცვის ეროვნული სააგენტოს 28.05.2014 წლის Nდ/13/12/12 წერილი).

სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. ლია ხუციშვილს უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას, მოქ. ლია ხუციშვილს, ქ. თბილისში, ლესილიძის ქ. N26–28–30/2–ში, არსებული შენობის რეკონსტრუქციის (შემინვა) ნებართვის გაცემის თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.